აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის
Аҧснытәи Автономиатәи Ареспублика Аиҳабыра Ахантәаҩы Идҭа
ბრძანება

№8 2019 წლის 24 იანვარი ქ. თბილისი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტისა და ,,საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 29 აგვისტოს №27 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელ პირებად დაინიშნონ: საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახურის უფროსი ნანა ახალაძე, ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსის მოადგილე ვენერა რურუა, აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან

ურთიერთობისა და სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის უფროსის მოადგილე გიორგი აქუბარდია, იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი ნოდარ ჯალაღონია და საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნინო კვარაცხელია.

2. ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირებს დაევალოთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 29 აგვისტოს № 27 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, აგრეთვე ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესაძლებლობა, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის რეგისტრაცია, ინფორმაციის ელექტრონული მოთხოვნის რეგისტრაციის ავტომატური დადასტურება და კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ვადებში საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემა;
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი უზრუნველყოს მთავრობის აპარატმა (ო.გარმელია);
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, ანა კალანდაძის 7ა) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია